

გზამკვლევი: როგორ ჩამოვაყალიბოთ თემი ციფრული ჩართულობისთვის



Erasmus+





მონაწილეობა გულისხმობს
გადანყვეტილების მიღების გახსნას
ადამიანთა სხვადასხვა
ჯგუფისთვის. ეს არის
შესაძლებლობა, რომელსაც ყველა
არ იყენებს.

ამიტომაც მნიშვნელოვანია
ახალგაზრდების ჩართვა
მონაწილეობის პროცესში.
პროექტის ირგვლივ თემის
ჩამოყალიბება უზრუნველყოფს
მონაწილეობის მაღალ დონეს და
დადებით შედეგებს.

რატომ არის თემი მნიშვნელოვანი?

თემი არ არის ერთჯერადი შეხვედრა. ის იკრიბება გარკვეული პერიოდის განმავლობაში.



თუ თქვენ ჩამოაყალიბებთ მდგრად თემს, მაშინ თქვენ შეძლებთ იდეების გაზიარებას და თანამშრომლობას თქვენი პროექტის ირგვლივ.



მონაწილეობა გულისხმობს მონაწილეების ჩართულობას. მნიშვნელოვანია, ისეთი ქსელის ჩამოყალიბება, რომელიც დაგეხმარებათ ახალგაზრდების გააქტიურებაში.



მონაწილეები შესაძლოა განსხვავდებოდნენ პროექტების მიხედვით, თუმცა სტაბილური ქსელი დაგეხმარებათ უწყვეტად უპასუხოს გამოწვევებს.



შედეგის მისაღწევად მნიშვნელოვანია პროექტის ადრეულ ეტაპზე კავშირების დამყარება გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან და მხარდამჭერ ორგანიზაციებთან.

როგორ შევძლოთ ეს?

გაეცანით OPIN-ზე თემის ჩამოყალიბების გზამკვლევს

მოცემული საფეხურები წარმოადგენს თემის
ჩამოყალიბების ინსტრუქციას თქვენი ჩართულობის
პროექტის განსახორციელებლად.

აღნიშნული გზამკვლევები ეყრდნობა ციფრული
ჩართულობის თემის პრაქტიკოსთა გამოცდილებას.



მთავარი საფეხურები

მიზნის დასახვა

სამიზნე ჯგუფის განსაზღვრ

სარგებლის გამოკვეთა

ადგილის პოვნა

აქტივობების განსაზღვრ

დანყება

სათემო აქტივობები

რა არის პროექტის მთავარი საკითხი? რისი მიღწევა გსურთ?

ვინ არიან ის ახაგაზრდები და დაინტერესებული მხარეები, რომელთა ჩართვაც იგეგმება?

განმარტეთ მიზნები და სარგებელი თემისთვის

სად მოხდება თემის შეკრება?

რას გააკეთებთ და როდის?

დაინყეთ ეფექტურად

შეინარჩუნეთ და განავითარეთ

მიზნების დასახვა

- განმარტეთ თუ რისი მიზნევა გსურს თქვენი პროექტით: რა არის მიზანი?



მაგ. OPIN-ის თემის მიზანია ციფრული ჩართულობის გაძლიერება ევროპის მასშტაბით ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შორის გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობით.

- ამატეთ ნათელი და კონკრეტული ამოცანები და აქტივობები.



- მაგ. OPIN-ის თემს სურს: 1. ინფრასტრუქტურის/ფორუმის შექმნა სადაც მონაწილეები მიიღებენ რჩევებს, გაუზიარებენ სხვებს საკუთარ გამოცდილებას და მიგნებებს. 2. 30-40-მდე ადამიანის განწევრიანება თემში, სადაც სულ მცირე 10 იქნება აქტიური. 3. ციფრული ჩართულობის პრაქტიკოსთა ევროპული ქსელის გაძლიერება.

სამიზნე ჯგუფების განსაზღვრა

"ვისი ჩართვა გსურთ?" - ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად გირჩევთ მიჰყევით შემდეგ სამ საფეხურს:

1: შეაგროვე და მონიშნე

2: გაიყვანე

3: მიანიჭე პრიორიტეტი



იფიქრეთ სტრატეგიულად, თუმცა იყავით პრაქტიკული!

სამიზნე ჯგუფების განსაზღვრა

ნაბიჯი #1: შეაგროვეთ და მონიშნეთ

იპოვეთ ერთი ან ორი "ადგილობრივი გმირი" - ინფლუენსერები, რომლებიც იზიარებენ თქვენს მიზანს და შეუძლიათ დახმარება თემის წევრების მოტივირებაში.

იმსჯელეთ და ჩამოწერეთ სხვადასხვა კატეგორიები



მაგ. ახალგაზრდული კლუბები, მასწავლებლები, სხვა საგანმანათლებლო ინსტიტუტები, ახალგაზრდული საინფორმაციო ცენტრები, მუნიციპალიტეტი, საჯარო მოხელეები, ახალგაზრდული ორგანიზაციები, სამოქალაქო

გამოავლინეთ სულ მცირე 2 პირი თითო კატეგორიიდან

რჩევა: იფიქრეთ იმ ადამიანებსა თუ ორგანიზაციებზე, რომელთაც უკვე იცნობთ და გაქვთ კონტაქტი.

რჩევა: დაელაპარაკეთ ადგილობრივ გმირებს და გაითვალისწინე მათი რჩევები. გამოიყენეთ მათი უკუკავშირი პროექტის მიზნების განსაზღვრისთვის.

სამიზნე ჯგუფების განსაზღვრა

ნაბიჯი # 2: გაცნობა

თემის აქტივობების შემუშავებისთვის მნიშვნელოვანია გაიცნოთ თქვენი თემის პოტენციური წევრები.

- გამოკვეთეთ სარგებელი

მას შემდეგ, რაც თქვენ განსაზღვრეთ თუ რისი მიღწევა გსურთ დაიწყეთ ფიქრი იმაზე, თუ რისი შეთავაზება შეგიძლიათ სამიზნე ჯგუფებისთვის

- როგორ შეგიძლიათ მათი ჩართულობის წახალისება?
- რა სარგებელს მიიღებენ ისინი თქვენი თემის წევრობით?



რჩევა:

- შექმენი ონლაინ კითხვარი და მოიწვიე დაინტერესებული მხარეები (თქვენი პოტენციური მონაწილეები)
- გაიგე მათი პროექტთან დაკავშირებული სურვილები და განიხილე კონკრეტული საკითხები.
- მოკლე გასაუბრებას ან ინტევიუს შეძლია უფრო ნათელი გახადოს მათი მოლოდინები, მოტივაცია, რაც გაამარტივებს აქტივობების დაგეგმვას.

სამიზნე ჯგუფების განსაზღვრა

ნაბიჯი #3: პრიორიტეტის მინიჭება

ძალიან მნიშვნელოვანია ბალანსის პოვნა ღიაობასა და თემის მიზნის თავისებურებას შორის.

მნიშვნელოვანია განსხვავების გავლება პირველადი და მეორადი სამიზნე ჯგუფებს შორის:

პირველადი

თქვენს პირველადი სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენს ადამიანთა ის ჯგუფი, რომელთაც უნდა მიწვდეთ თქვენი თემის ჩამოსაყალიბებლად.

მაგ. OPIN-ის თემის სამიზნე ჯგუფი იყო ციფრული ჩართულობის პრაქტიკოსები, რადგან მათი გამოცდილება იყო მნიშვნელოვანი



მეორადი

მეორადი ჯგუფი ნაკლებად მნიშვნელოვანია თქვენი პროექტისთვის, თუმცა მაინც გასათვალისწინებელი.

მაგ. ახალბედები წარმოადგენდნენ თემის მეორად ჯგუფს, რადგან მათ შეუძლიათ დასვან რეკომენდაციური შეკითხვები

გამოკვეთე სარგებელი



მაგალითი
OPIN-ის
თემიდან :

სამიზნე აუდიტორია	სარგებელი და წამახალისებელი თემის წევრებისთვის
პირდაპირი	<ul style="list-style-type: none">-გაცვლა მსგავსი შეხედულებების მექონდე ადამიანებთან-შესაძლებლობები ახალი თანამშრომლობისთვის-საკითხის მცოდნე პირებისგან პასუხების სწრაფად მიღება-გავრცელების არხები-გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან კავშირების დამყარება-მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებსა და ტრენინგებში-იდეები ახალი პროექტების წამოსაწყებად
მეორადი	<ul style="list-style-type: none">-საინტერესო ინფორმაციის მიღება-უფასო და ინტერაქტიული სწავლების რეჟიმი-ახალი იდეებისა და ინოვაციური ხედვებისა გაზიარება-სართაშორისო და ადგილობრივი საქმიანი კონტაქტების დამყარება

ადგილის პოვნა

იპოვეთ ადგილი სადაც თემი შეძლებს შეკრებას და აზრების გაცვლას, მაგ. ფორუმი, რეგულარული შეხვედრები (ონლაინ და ოფლაინ), სოციალური მედია არხები. თქვენი აუდიტორიიდან გამომდინარე, შეარჩიეთ შესაბამისი საკომუნიკაციო საშუალება.

OPIN გთავაზობთ სპეციალურად შექმნილ მოდულს მსგავსი საქმიანობის ორგანიზაციებსთვის, რათა პროექტის ინიციატორებმა ევროპის მასშტაბით შეძლონ ერთმანეთთან დაკავშირება. →

<https://opin.me/en/projects/opin-community>

ენზეთ!

აქტივობების გეგმა

აქტივობები ხელს უწყობენ თემის გაერთიანებასა და წევრებს შორის გაცვლას.

- პროექტთან დაკავშირებული აქტივობების დაგეგმვა და შესაბამისი რეჟიმის პოვნა (კვირის, თვის ან განსაკუთრებული შემთხვევების მიხედვით)
- დარწმუნდით, რომ თქვენი თემის საჭიროებები არის გათვალისწინებული. ამის შესაფასებლად შეგიძლიათ მიმართოთ პერიოდულ გამოკითხვას და არაფორმალურ კომუნიკაციას, რათა შეისწავლოთ თქვენი წევრთა საჭიროებები.

დანყება

დარწმუნდით, რომ ხართ მზად, ვიდრე პირველ ნაბიჯს გადადგამთ თქვენი თემის ჩამოსაყალიბებლად. პირველი შთაბეჭდილება მნიშვნელოვანია.

- გაავრცელეთ ინფორმაცია თქვენი წამოწყების შესახებ: მოიწვიეთ წევრები და გამოიყენეთ რეკლამას
- ყველა წამოწყება ამაღელვებელია, თუმცა მოითხოვს ძალისხმევას: შეუწყვეთ ხელი დისკუსიას და იყავით გულისხმიერი პასუხის გაცემისას.
- იყავით მიზანდასახული, ინოვაციური, სცადე სიახლეები და იყავით ღია დისკუსიისთვის



თემის მართვა

თემის მართვა საჭიროებს რეგულარულ ძალისხმევას. საფუძვლის ჩაყრის შემდეგ მნიშვნელოვანია მუდმივი ზრუნვა, რათა თქვენი თემი გაიზარდოს.

- იყავით სწრაფი გამოხმაურებისას.
- თხოვეთ ახალგაზრდებს ჩაერთონ თემის მართვაში. გაუზიარეთ თქვენს პარნიორებს საკომუნიკაციო საქმიანობა.
- დარჩით კავშირში თემთან და მუდმივად ეცადე გაიგო წევრთა სურვილები. ცვლილება არის მუდმივი, ამიტომ განსახილველი საკითხები და "ცხელი" თემები მუდმივად შეიცვლება.
- მოიწვიეთ დაინტერესებული წევრები (ექპერტები ან გადაწყვეტილების მიმღები პირები) თემში დისკუსიისთვის.
- განვითარდით და განავითარეთ შენი თემი.



თემის აქტივობები

იფიქრეთ სხვადასხვა აქტივობაზე, ფორმატსა და კომუნიკაციის არხებზე, რომელიც სჭირდება თქვენს თემს:



- უშუალო შეხვედრა: საპროექტო შეხვედრები, ვორქშოპები, ბრენსტორმინგი თუ სატრენინგო შეხვედრები, სადაც ყველას შეუძლია ისწავლოს ერთმანეთისგან
- ონლაინ შეხვედრები და ვებინარები
- ინდივიდუალური შეხვედრების, ფორუმის დისკუსიები მოდერაციით, წერილებისა და სოციალური მედიის გზით ცოდნის გაზიარება
- თანამშრომლობის სივრცე: წამოიწყეთ პროექტი ერთობლივად.

თემის აქტივობები: ონლაინ შეხვედრების სერია



მაგალითი: OPIN თემის ფარგლებში ჩვენ ორგანიზება გავუწიეთ ონლაინ შეხვედრებს, რამაც ხელი შეუწყო წევრებს შორის კომუნიკაციას. ყოველთვიური ვებინარების ფარგლებში თემის წევრები ერთმანეთს უზიარებდნენ საკუთარ გამოცდილებას და საფუძველს უყრიდნენ სამომავლო ერთობლივ მუშაობას. ონლაინ შეხვედრების თემატიკის განსაზღვრა ხდებოდა თემთან კონსულტაციით.

OPIN -ის თემის ონლაინ შეხვედრების სტრუქტურა გახლდათ შემდეგი:

1. გამოწვევა და შეხვედრის თემატიკა: რა არის მთავარი საკითხი და რატომ არის ის საინტერესო? რა წარმოადგენს გამოწვევას?
2. უკუკავშირი პრობლემის გადაჭრაზე ან კარგი პრაქტიკის მაგალითი: როგორ გადაჭერით პრობლემა? რა დადებით მხარეებს გამოყოფდით?
3. შეკითხვები და პასუხები: რა შეკითხვები აქვთ მონაწილეებს ჯგუფურ დისკუსიაში?
4. კონტაქტების შექმნა და გაცვლა: დისკუსიები მცირე ჯგუფებში, რათა მონაწილეებმა გაიცნონ ერთმანეთი და გაცვალონ საკუთარი საკონტაქტო ინფორმაცია.
5. უკუკავშირი: კომენტარები და ახალი საკითხები მომდევნო შეხვედრებისთვის

თემის აქტივობები: ონლაინ შეხვედრების



სერია
თემატიკით: გაეცანით ოპინით თემის ონლაინ შეხვედრებს:

OPIN-ის თემის გაცნობა.

ვიდეო

Slovenian Association of Friends of Youth-ის მოკლე პრეზენტაცია თემაზე ახალგაზრდული პარლამენტის გაციფრულება პლატფორმა OPIN-ის გამოყენებით.



OPIN-ის ციფრული ჩართულობის ინსტრუმენტები

ვიდეო

OPIN-ის შემქმნელების პრეზენტაცია OPIN-ისა და ციფრული მონაწილეობის ინსტრუმენტების გამოყენების ტექნიკებზე.



How to build a successful network

ვიდეო

ორგანიზაცია "ახალგაზრდული ჰორიზონტი" საქართველოდან აზიარებს საკუთარ წარმატებულ გამოცდილებას პარტნიორობის ქსელის ჩამოყალიბების მიმართულებით.



თემის აქტივობები: ონლაინ შეხვედრების



საგალობლო: გაეცანით ოპინით თემის ონლაინ შეხვედრებს:

აქტივაციის და რეგისტრაციის პროცესი ვიდეო

აქტივაციის და რეგისტრაციის პროცესს შეიძლება ახლდეს გარკვეული სირთულეები. ვებინარის მთავარი თემა გახლდათ ამ სირთულეებზე მსჯელობა, გამოცდილების გაზიარება და პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება.



საკონსულტაციო პროცესი OPIN-ის გამოყენება

ვიდეო

OPIN-ის გამოყენებით მალტას ეროვნულმა სააგენტომ შეიმუშავა ეროვნული ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი.



რჩევები და ხრიკები ახალგაზრდების ჩასართავად.

ვიდეო

5 მნიშვნელოვანი რჩევა თუ როგორ ჩავრთოთ ახალგაზრდები მონაწილეობის პროცესში და ვუზრუნველყოთ უკეთესი კომუნიკაცია სამიზნე აუდიტორიასთან.



წამოიწყეთ საკუთარი თემი

ახლა კი თქვენი ჯერია გამოიყენო თემის დაფუძნების პროცესი საკუთარი პროექტისთვის. თუ გაგინდებათ შეკითხვები შეგიძლია მოიწეროთ ამ მისამართზე: community@opin.me

მიზნის დასახვა

სამიზნე
ჯგუფის
განსაზღვრ

სარგებლის
გამოკვეთა


ადგილის
პოვნა

აქტივობებ
ის
განსაზღვრ

დანყება

სათემო
აქტივობები





**მონაწილეობა გულისხმობს
გადანყვეტილების მიღების გახსნას
ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფისთვის. ეს
არის შესაძლებლობა. თემის მშენებლობა
კი მნიშვნელოვანია მონაწილეების
შესანარჩუნებლად.**